**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა / Cultural Heritage and Modernity

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია;** ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი / Master of Arts in Art History and Theory, Master of Arts in Museology
სპეციალობა/სპეციალიზაცია: ხელოვნებათმცოდნეობა / მუზეუმმცოდნეობა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS. სამაგისტრო პროგრამის 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 კრედიტი სავალდებულო დისციპლინებისთვის, 40 კრედიტი პროგრამის არჩევითი დისციპლინებისთვის, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომისთვის.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ცოდნა ძველი ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების და მუზეუმმცოდნეობის სპეციალობით; ჩამოაყალიბოს ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტად.
სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს: ძველი ხელოვნება, ახალი და თანამედროვე ხელოვნება და სამუზეუმო საქმე. პროგრამის ფარგლებში თითოეული მოდული ითვალისწინებს როგორც ვიწრო სპეციალიზებული, ისე საერთო საგნების სწავლებას.
დღევანდელ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც თავისთავად განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის პირველი მოდულის აქტუალობას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესატყვისობას. მოდულის კონცეპცია და საგნების შერჩევის პრინციპი უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნის მიღებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოდული აერთიანებს ძველი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, ამასთანავე მასში გათვალისწინებულია როგორც ვიწრო სპეციალიზირებული, ისე ზოგადკულტუროლოგიური საგნები.
თანამედროვე სახვითი და ვიზუალური ხელოვნების შესწავლა აუცილებელია ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციისათვის თანამედროვე დასავლეთის სამეცნიერო და სახელოვნებო სივრცეში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას. შესაბამისად, პროგრამის მეორე მოდული სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსს ახალ და თანამედროვე ხელოვნებაში. პროგრამა მოიცავს ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა დარგებსა და მიმართულებებს XIX საუკუნიდან XXI საუკუნის აქტუალური ხელოვნების ჩათვლით.
პროგრამის მესამე მოდული ითვალისწინებს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეისწავლიან სამუზეუმო ფასეულობებს, მოდელებს, კანონმდებლობას და, შესაბამისად, შეძლებენ სხვადასხვა ტიპის მუზეუმში მუშაობას. ეს მოდული ინოვაციური ხასიათისაა და მოიცავს სამუზეუმო მოღვაწეობის ყველა ასპექტს – როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს.
ამასთან პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც _ კულტურული მემკვიდრეობის კვლევის და დაცვის, თანამედროვე ხელოვნების შესწავლის და კრიტიკის, სამუზეუმო საქმის წარმართვის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, მოამზადოს ის როგორც ხელოვნებათმცოდნე, მომზადებული იმ დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევითი უნარების გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.
საქართველო ევროპასთან ინტეგრაციის გზით ვითარდება, რაც ხელოვნებათმცოდნეობითი და მუზეუმმცოდნეობითი სპეციალიზაციის გაფართოვების წინაპირობას ქმნის. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ამგვარი მიდგომა მაქსიმალურად არის გათვალისწინებული. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოემზადონ სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ აკადემიურ საფეხურზე ან დამოუკიდებელი პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობისათვის.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი (ან ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი (minor) პროგრამა); ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ზოგ მიმართულებათშორის დარგში, მაგ., არქიტექტურა, რესტავრაცია/კონსერვაცია, კულტურის კვლევები და

რეგიონმცოდნეობის პროფილის დარგები (კავკასიოლოგია, ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა).

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ხელოვნების ისტორიაში;
- სავალდებულოა ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

საგამოცდო საკითხები იხ. დანართი 1.

სწავლის შედეგი:
პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი ცოდნისა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების ისეთი ხარისხი, რომელიც მაგისტრს სპეციალობის შესაბამისი პოზიციის დაკავების ან შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს.

ცოდნა და გაცნობიერება:
მოდული: <u>ძველი ხელოვნება, ახალი და თანამედროვე ხელოვნება:</u>
მაგისტრს აქვს ხელოვნების ფენომენის, მისი განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებების ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობის, მისი დაცვის და ადაპტაციის პრობლემების ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება საქართველოს სახელმწიფოს განვითარების კონტექსტში; სტუდენტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა აღმოსავლეთქრიატიანულ და დასავლურ სამყაროსთან საქართველოს მიმართების და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ფორმირების საკითხებზე;

მაგისტრი ფლობს ცოდნას იმ კულტურული, ისტორიული და რელიგიური კონტექსტის შესახებ, რომელშიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართული ხუროთმოძღვრება, ორნამენტული მხატვრობა, მინიატურის ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, იკონოგრაფია, სცენოგრაფია და კინემატოგრაფია. მაგისტრი ფლობს ცოდნას არქიტექტურული ტიპის არსსა და ქვეტიპების ფორმირების პროცესზე. აცნობიერებს უგუმბათო და გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ტიპების მახასიათებლებს და მათ ქვეტიპებს; ფლობს ცოდნას წიგნის მხატვრული გაფორმების არსსა და ფუნქციებზე შუა საუკუნეებში, მინიატურის ხელოვნების ფართო და სისტემური ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას. ფლობს ინფორმაციას მონუმენტური ფერწერის განვითარებასთან, რეგიონალურ თავისებურებებთან დაკავშირებით ქართულ და უცხოურ სამეცნიერო წრეებში არსებული თვალსაზრისების შესახებ, XX საუკუნის სცენოგრაფიის ღრმა და სისტემური ცოდნას; იცის XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სახვითი ხელოვნების ძირითადი მიმდინარეობები და სტილები, ფლობს ინფორმაციას კინოენის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, ადრეული და ამავე პერიოდის დასავლური კინემატოგრაფიის შესახებ, რაც ეხმარება მას, სათანადოდ შეაფასოს ქართული კინემატოგრაფიის ნიმუშები. ფლობს ცოდნას XX საუკუნის 40-80-იანი წლების დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს ვიზუალური ხელოვნების ძირითადი მიმდინარეობებისა და ტენდენციების შესახებ. აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. მაგისტრმა იცის თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული მეთოდოლოგიისა და კვლევის მიმართულებები; მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

მოდული: <u>სამუზეუმო საქმე:</u>
მუზეუმების სოციალური და კულტურული ასპექტების, სამუზეუმო სტრუქტურების ფუნქციონირების, მუზეუმმცოდნეობის თანამედროვე თეორიების ცოდნა. ცოდნა კულტურული ინსტიტუციების მართვისა და იქ მიმდინარე ყველა პრაქტიკული პროცესების შესახებ. კულტურული და სოციალური კონტექსტის ცოდნა, რომელშიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ეს დაწესებულებები. მარკეტინგის თეორიების შესახებ ცოდნა. თანამედროვე მარკეტინგული ტექნოლოგიების ზოგადი პრინციპებისა და მექანიზმების ცოდნა. სტუდენტი ფლობს ცოდნას სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სამუზეუმო საქმიანობაში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის შესახებ, მუზეუმების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპების შესახებ, მუზეუმების კატეგორიების შესახებ; სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ძირითადი უფლება–მოვალეობების შესახებ, სამუზეუმო ექსპონატების

აღრიცხვისა და დაცვის ტექნოლოგიების შესახებ. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები**
**მოდული:** ძველი ხელოვნება, ახალი და თანამედროვე ხელოვნება:
კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების სფეროში ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარი; თანამედროვე ეპოქაში მხატვრული შემოქმედების კვლევისა და მართვის პრობლემების წარმოჩენისა და პრიორიტეტულობის მიხედვით მათი რანჟირების უნარი; თანამედროვე სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი; მიღებული ცოდნის გამოყენება მისი განზოგადების საფუძველზე კონკრეტულ მასალაზე კვლევის პროცესში; ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.

**მოდული:** სამუზეუმო საქმე:
კულტურისა და ხელოვნების დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური, რეალური განხორციელების გზების ძიების უნარი; კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების კვლევასა და მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარი; მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები და კვლევითი ტექნიკა;
მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

**დასკვნის უნარი**
კულტურული მემკვიდრეობის შესახებ უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; ხელოვნების ძეგლთა შესახებ მოძიებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; უახლესი ინოვაციური თეორიებისა და იდეების საფუძველზე თამამი გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**
ძველი და თანამედროვე ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის მეთოდების, სამუზეუმო საქმიანობის პროფესიული შეფასების, არგუმენტაციისა და მიღებული დასკვნების ანალიზისა და კომუნიკაციურ დონეზე გადატანის უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; საკუთარი დასკვნებისა და კვლევის მიმართულებებისა და მეთოდების შესახებ კოლეგებთან ქართულ და უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

**სწავლის უნარი**
თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ხელოვნების სხვადასხვა დარგის ქმნილებების კვლევის და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის უნარი, სწავლის პროცესის მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი.

**ღირებულებები**
ხელოვნების, როგორც ღირებულებითი კატეგორიისადმი საკუთარი და სხვების შეფასების უნარი; სამოქალაქო საზოგადოებაში ხელოვნების აუცილებლობის დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60– საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

**დასაქმების სფეროები**
სამუშაო მიმართულებები, სადაც მაგისტრატურის კურსდამთავერებულებს შეუძლიათ მუშაობა სამეცნიერო მუშაობისა და კვლევის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, კურატორული, შეფასებისა და განვითარების (promo) სამუშაოების მიმართულებით. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში; ეროვნულ და სხვა მუზეუმებში; ეროვნულ და კერძო გალერეებში; ტურისტულ სააგენტოებში; ხელოვნებისა და კულტურის ორგანზიაციებში (დამოუკიდებელი და სახელმწიფო); კულტურული მემკვიდრეობის ცენტრში; კულტურული მემკვიდრეობის ფონდებში; აუქციონებსა და ხელოვნების ნიმუშის შეფასების ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციებში (მაგალითად საბაჟოები); ტელე-რადიო და ბეჭდვით მედიაში ხელოვნებათმცოდნეობის კუთხით.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ზაზა სხირტლაძე

**მოდულების ხელმძღვანელები:** ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა (ძველი ხელოვნება); ასოცირებული პროფესორი); მაია ციციშვილი (ახალი და თანამედროვე ხელოვნება, ასოცირებული პროფესორი); ასოცირებული პროფესორი ირინა კოშორიძე (სამუზეუმო საქმე, მართვის თანამედროვე მეთოდები).

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

1. ზ. სხირტლაძე - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
2. ი. კოშორიძე - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
3. ნ. სილაგაძე - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
4. ნ. ჯაბუა - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. მ. ციციშვილი - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
6. ი. მირიჯანაშვილი - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
7. ნ. ჩიქოვანი - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
8. ბ. ჯავახია - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
9. ა. ყულიჯანაშვილი - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
10. ლ. გიგინეიშვილი - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
11. კ. კაციტაძე - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
12. ა. ზაქარიაძე - თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

13. ნ. გედევანიშვილი - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
14. ნ. კალანდაძე - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
15. თ. ხატიაშვილი - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
16. გ. ხოშტარია - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
17. ქ. შავგულიძე - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
18. გ. ჯავახიშვილი - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
19. ი. ქარაია - მეცნიერებათა მაგისტრი, მოწვეული პროფესორი
20. ნ. ჭოღოშვილი - მეცნირებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**
სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ბაზაზე. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტს გააჩნია:

- კაბინეტი (ფართი 26 მ$^2$);
- კაბინეტთან არსებული ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკა (ფართი 37 მ$^2$);
- აუდიტორია (ფართი 35 მ$^2$).

გარდა ამისა, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო რესურს ცენტრებითა და ბიბლიოთეკებით.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

# სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფესორი ზაზა სხირტლაძე**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს **№122/2011** დადგენილების საფუძველზე).
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

## პროგრამის სტრუქტურა

| სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოდი | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტების რაოდენობა ECTS | სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში | | სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში | | | დასკვნითი გამოცდის ჩაბარება | საგანზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემეტრი | | ლექტორი/ლექტორები |
| | | | ლექცია | სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკული | ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება | შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება | დასკვნითი გამოცდის | | | შემოდგომა | გაზაფხული | |
| 1 | კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ნ. ჯაბუა |
| 2 | სამუზეუმო საქმე: ისტორია და თეორია | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ი. კოშორიძე |
| 3 | საკურატორო და საგამოფენო საქმე, პროექტის მენეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | III | | ნ. ჭოღოშვილი |
| 4 | თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | III | | ა. ყულიჯანაშვილი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არჩევითი მოდულები – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| I მოდული: ძველი ხელოვნება; სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| 1 | საქართველო და ქრისტიანული სამყარო: ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიის საკითხები; | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ნ. ჯაბუა |
| 2 | რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქართველოში; | 10 | 60 | 30 | 128 | 8 | 20 | 4 | წინაპირობის გარეშე | III | | ზ. სხირტლაძე |
| 3 | ფერწერული სკოლები შუა საუკუნეების საქართველოში; | 10 | 60 | 30 | 120 | 16 | 20 | 4 | წინაპირობის გარეშე | | II | ზ. სხირტლაძე |
| 4 | ქართული მინიატიურა: ხელნაწერი წიგნის გაფორმების ტრადიცია ასწლეულების მანძილზე; | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ი. ჭიჭინაძე |
| II მოდული: ახალი და თანამედროვე ხელოვნება; სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| 1 | XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება თანადროულ ევროპულ ხელოვნებასთან მიმართებით; | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | მ. ციციშვილი |
| 2 | უახლესი დროის სახვითი ხელოვნების სტრუქტურული ანალიზი; | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | III | | გ.ხოშტარია |
| 3 | xx საუკუნის სცენოგრაფია: ეტაპები და ტენდენციები; | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ქ. შავგულიძე |
| 4 | კინოენის ჩამოყალიბება და განვითარება XX საუკუნის კულტურულ კონტექსტში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | თ.ხატიაშვილი |
| 5 | თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ნ. ჭოღოშვილი |
| 6 | პოსტმოდერნიზმი | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ნ. ჭოღოშვილი |
| III მოდული: სამუზეუმო საქმე; სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| 1 | კანონმდებლობა კულტრული მემკვიდრეობის სფეროში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ი. ქარაია |
| 2 | კოლექციების მოვლა, პრევენციული კონსერვაცია | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ნ. კალანადაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | არტ მენეჯმენტი (თეორია და პრაქტიკა) | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ი. ქარაია |
| 4 | კულტურის დაწესებულებების მარკეტინგი | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ი. ქარაია |
| 5 | სამუზეუმო პრაქტრიკა | 10 | | | | | | | კანონმდებლობა კულტრული მემკვიდრეობის სფეროში/ კოლექცეიბს მოვლა/ არტ მენეჯმენტი / კულტურული დაწესებულებების მარკეტინგი | III | | ი. ქარაია |
| არჩევითი სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| 1 | საკრალური სივრცის პრობლემა წინაქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ნ. სილაგაძე |
| 2 | აღმოსავლეთ-დასავლეთი მხატვრული სახის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ი. კოშორიძე |
| 4 | ბიზანტიური ცივილიზაცია: ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები [ის. სამაგისტრო პროგრამა მსოფლიო ისტორიაში] | 5 | 30 | 30 | 45 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ზ. ჯავახია |
| 5 | კულტურა და რელიგია კავკასიაში [იხ. სამაგისტრო პროგრამა კულტურის მეცნიერებაში] | 10 | 30 | 60 | 130 | 16 | 10 | 4 | წინაპირობის გარეშე | III | | ნ. ჩიქოვანი |
| 1 | ფოტოგრაფიის ისტორია და თეორია | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ნ. ჭოღოშვილი |
| 2 | თანამედროვე ქართული ქანდაკება | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | III | | გ. ჯავახიშვილი |
| 3 | ფიროსმანის მხატვრული სამყარო | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | გ. ხოშტარია |
| 4 | საქართველოს ქალაქების არქიტექტურა | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | III | | ი. მირიჯანაშვილი |
| 5 | თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე) | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | მ. ციციშვილის |
| 6 | პოსტმოდერნისტული კულტურა და კინემატოგრაფი | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | თ. ხატიაშვილი |
| 7 | საგანმანათლებლო პროგრამები მუზეუმებსა და გალერეებში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | I | | ნ. გედევანიშვილი |
| 8 | დროებითი გამოფენების მოწყობა | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | III | | ი. ქარაია |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | საქართველოს მუზეუმების კოლექციები | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ი. ქარაია |
| 10 | სამუზეუმო კოლექციების მართვა | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ი. კოშორიძე |
| 11 | ათორმეტი საუფლო დღესასწაული: საღვთისმეტყველო საზრისი, იკონოგრაფია, ფერთა სიმბოლიკა | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | II | ა. ოქროპირიძე |
| 12 | ვიზუალური ფოლკლორი საქართველოში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | | ს. ლეჟავა |
| 13 | უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| 14 | უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | უცხოური ენა 1 / ტესტი | √ | √ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **სამაგისტრო ნაშრომი** | **30** | | | | | | | | | IV | |

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————

თარიღი ——————————————— ფაკულტეტის ბეჭედი

## კრედიტების და საგნების სემესტრული განაწილება

სამაგისტრო პროგრამა კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა , მოდული 1 ძველი ხელოვნება 2011–2013 წ.წ.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტების რაოდენობა | კურსის სტატუსი | სალექციო საათები კვირაში | სამუშ. ჯგუფ/ პრაქტ. (საათები კვირაში) | კურსის წინაპირობა | ლექტორი/ლექტორები |
| 1 | კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ.ჯაბუა |
| 2 | ქართული მინიატიურა: ხელნაწერი წიგნის გაფორმების ტრადიცია ასწლეულების მანძილზე | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ჭიჭინაძე |
| 3 | საკრალური სივრცის პრობლემა წინაქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. სილაგაძე |
| 4 | ბიზანტიური ცივილიზაცია: ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები [ის. სამაგისტრო პროგრამა მსოფლიო ისტორიაში] | 5 | არჩევითი | 2 | 2 | წინაპირობის გარეშე | ბ. ჯავახია |
| 5 | პოსტმოდერნისტული კულტურა და კინემატოგრაფი | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | თ. ხატიაშვილი |
| 6 | საგანმანათლებლო პროგრამები მუზეუმებსა და გალერეებში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. გედევანიშვილი |
| 7 | სხვა ორი მოდულის სავალდებულო საგანი არჩევითად | 5 | | | | | |
| II სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | სამუზეუმო საქმე: ისტორია და თეორია | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| 2 | ფერწერული სკოლები შუა საუკუნეების საქართველოში | 10 | სავალდებულო | 4 | 2 | წინაპირობის გარეშე | ზ. სხირტლაძე |
| 3 | საქართველო და ქრისტიანული სამყარო: ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიის საკითხები | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჯაბუა |
| 4 | აღმოსავლეთ-დასავლეთი მხატვრული სახის ტრანსფორმაცია დროსა და | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სივრცეში | | | | | | |
| 5 | ფოტოგრაფიის ისტორია და თეორია | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 6 | ფიროსმანის მხატვრული სამყარო | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ. ხოშტარია |
| 7 | თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე) | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | მ. ციციშვილი |
| 8 | საქართველოს მუზეუმების კოლექციები | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 9 | სამუზეუმო კოლექციების მართვა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| III სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქართველოში | 10 | სავალდებულო | 4 | 2 | წინაპირობის გარეშე | ზ. სხირტლაძე |
| 2 | საკურატორო და საგამოფენო საქმე, პროექტის მენეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 3 | თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ა. ყულიჯანაშვილი |
| 4 | დროებითი გამოფენების მოწყობა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 5 | კულტურა და რელიგია კავკასიაში [იხ. სამაგისტრო პროგრამა კულტურის მეცნიერებაში] | 10 | არჩევითი | 2 | 4 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჩიქოვანი |
| 6 | თანამედროვე ქართული ქანდაკება | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ. ჯავახიშვილი |
| 7 | საქართველოს ქალაქების არქიტექტურა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. მირიჯანაშვილი |
| IV სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | | | | | |

მოდული 2 ახალი და თანამედროვე ხელოვნება

| I სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწავლო კურსისი დასახელება | კრედიტების რაოდენობა | კურსის სტატუსი | სალექციო საათები კვირაში | სამუშ. ჯგუფ/ პრაქტ. (საათები კვირაში) | კურსის წინაპირობა | ლექტორი/ლექტორები |
| 1 | კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ.ჯაბუა |
| 2 | XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება თანადროულ ევროპულ ხელოვნებასთან მიმართებით | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | მ. ციციშვილი |
| 3 | კინოენის ჩამოყალიბება და განვითარება XX საუკუნის კულტურულ კონტექსტში | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | თ.ხატიაშვილი |
| 4 | თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 5 | საკრალური სივრცის პრობლემა წინაქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. სილაგაძე |
| 6 | ბიზანტიური ცივილიზაცია: ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები [ის. სამაგისტრო პროგრამა მსოფლიო ისტორიაში] | 5 | არჩევითი | 2 | 2 | წინაპირობის გარეშე | ბ. ჯავახია |
| 7 | პოსტმოდერნისტული კულტურა და კინემატოგრაფი | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | თ. ხატიაშვილი |
| 8 | საგანმანათლებლო პრგორამები მუზეუმებსა და გალერეებში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. გედევანიშვილი |
| II სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | სამუზეუმო საქმე: ისტორია და თეორია | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი.კოშორიძე |
| 2 | XX საუკუნის სცენოგრაფია: ეტაპები და ტენდენციები | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ქ. შავგულიძე |
| 3 | პოეტმოდერნიზმი | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | აღმოსავლეთ-დასავლეთი მხატვრული სახის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| 5 | ფოტოგრაფიის ისტორია და თეორია | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 6 | ფიროსმანის მხატვრული სამყარო | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ. ხოშტარია |
| 7 | თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე) | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | მ. ციციშვილი |
| 8 | საქართველოს მუზეუმების კოლექციები | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 9 | სამუზეუმო კოლექციების მართვა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| III სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | საკურატორო და საგამოფენო საქმე პროექტის მეეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 2 | უახლესი დროის სახვითი ხელოვნების სტრუქტურული ანალიზი | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ.ხოშტარია |
| 3 | თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები | | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ა. ყულიჯანაშვილი |
| 4 | დროებითი გამოფენების მოწყობა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 5 | კულტურა და რელიგია კავკასიაში [იხ. სამაგისტრო პროგრამა კულტურის მეცნიერებაში] | 10 | არჩევითი | 2 | 4 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჩიქოვანი |
| 6 | თანამედროვე ქართული ქანდაკება | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ. ჯავახიშვილი |
| 7 | საქართველოს ქალაქების არქიტექტურა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. მირიჯანაშვილი |
| IV სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | | | | | |

მოდული 3 სამუზეუმო საქმე

| | სასწავლო კურსისი დასახელება | კრედიტების რაოდენობა | კურსის სტატუსი | სალექციო საათები კვირაში | სამუშ. ჯგუფ/ პრაქტ. (საათები კვირაში) | კურსის წინაპირობა | ლექტორი/ლექტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჯაბუა |
| 4 | კანონმდებლობა კულტრული მემკვიდრეობის სფეროში | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 5 | კოლექციებს მოვლა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. კალანდაძე |
| 6 | არტ მენეჯმენტი (თეორია და პრაქტიკა) | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 7 | საკრალური სივრცის პრობლემა წინაქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. სილაგაძე |
| 8 | ბიზანტიური ცივილიზაცია: ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები [ის. სამაგისტრო პროგრამა მსოფლიო ისტორიაში] | 5 | არჩევითი | 2 | 2 | წინაპირობის გარეშე | ბ. ჯავახია |
| 9 | პოსტმოდერნისტული კულტურა და კინემატოგრაფი | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | თ. ხატიაშვილი |
| 10 | საგანმანათლებლო პრგორამები მუზეუმებსა და გალერეებში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. გედევანიშვილი |
| II სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | სამუზეუმო საქმე: ისტორია და თეორია | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| 2 | კულტურული დაწესებულებების მარკეტინგი | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 3 | აღმოსავლეთ-დასავლეთი მხატვრული სახის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| 4 | ფოტოგრაფიის ისტორია და თეორია | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 5 | ფიროსმანის მხატვრული სამყარო | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ. ხოშტარია |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე) | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | მ. ციციშვილი |
| 7 | საქართველოს მუზეუმების კოლექციები | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 8 | სამუზეუმო კოლექციების მართვა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. კოშორიძე |
| III სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| 1 | სამუზეუმო პრაქტიკა | 10 | სავალდებულო | 2 | 1 | კანონმდებლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში; კოლექციების მოვლა; არტ მენეჯმენტი; კულტურული დაწესებულებების მარკეტინგი. | ი.ქარაია |
| 2 | საკურატორო და საგამოფენო საქმე, პროექტის მეეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჭოღოშვილი |
| 3 | თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები | 5 | სავალდებულო | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ა. ყულიჯანაშვილი |
| 4 | დროებითი გამოფენების მოწყობა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. ქარაია |
| 5 | კულტურა და რელიგია კავკასიაში [იხ. სამაგისტრო პროგრამა კულტურის მეცნიერებაში] | 10 | არჩევითი | 2 | 4 | წინაპირობის გარეშე | ნ. ჩიქოვანი |
| 6 | თანამედროვე ქართული ქანდაკება | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | გ. ჯავახიშვილი |
| 7 | საქართველოს ქალაქების არქიტექტურა | 5 | არჩევითი | 2 | 1 | წინაპირობის გარეშე | ი. მირიჯანაშვილი |
| IV სემესტრი – 30 კრედიტი (ECTS) | | | | | | | |
| | **სამაგისტრო ნაშრომი** | **30** | სავალდებულო | | | | |

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ___________________________________

თარიღი